

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციების საქართველოს ეროვნულ ბანკთან გაერთიანებით, საბანკო სისტემის ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, მეანაბრეთა ინტერესების დაცვისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების უზრუნველყოფის აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საბანკო სისტემის ზედამხედველობის ეფექტურობის გაზრდა და ამით სისტემის სტაბილურობის ხელშეწყობა, ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფისა და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი ცვლილებები გამოწვეულია სააგენტოს ფუნქციების გადაცემით ეროვნული ბანკისადმი.

ასევე, შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, შვილობილი საწარმოს და კონტროლის დეფინიციები შესაბამისობაშია მოყვანილი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

ამასთანავე, კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ ეროვნული ბანკი ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების რეგულირებასა და შემოწმებას ახორციელებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისათვის და შესაბამისად, უფლებამოსილია მის მიმართ გამოყენოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით მაგრამ არ ფლობს რაიმე ბერკეტს დარღვევების არმოჩენის შემთხვევაში. შემოთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს ფულადი გზავნილების მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობის დაცვას და შესაბამისად უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების უზრუნველყოფას.

კანონპროექტის საფუძველზე უცხოეთის ბანკის ფილიალს მოეთხოვება წარმოადგინოს ინფორმაცია სათავო ბანკის მიერ მისთვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის შესახებ ვინაიდან, უცხო ბანკის ფილიალს არ შეიძლება ჰქონდეს კაპიტალი.

შემოთავაზებული ცვლილებების საფუძველზე, კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა ეძლევათ, ეროვნული ბანკის ნებართვის საფუძველზე ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის 20 პროცენტზე მეტს.

დამატებით, კანონპროექტით განისაზღვრება კომერციული ბანკების დირექტორებთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, კომერციული ბანკის დირექტორებს ეკრძალებათ ისეთი საკითხების განხილვაში მონაწილეობა, რომელიც უკავშირდება დირექტორატის საქმიანობის ზედამხედველობას, მათი ანგარიშების დამტკიცებასა და შეფასებას. აღნიშნული საკითხის დარეგულირება მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის კუთხით. ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ იკრძალება ნებისმიერი სახის მატერიალური წახალისების გამოყენება რამაც შესაძლოა დააზარალოს მეანაბრეთა ინტერესები.

კანონპროექტის საფუძველზე კანონში განსაზღვრული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ვინაიდან, ამგვარი განმარტება აქამდე არ არსებობდა, ამ ტერმინის დეფინიცია მნიშვნელოვანია პრაქტიკიდან წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით.

მეანაბრეთა დაცვის მექანიზმების სრულყოფის მიზნით, ყველაზე მსხვილი 10 მსესხებლის ეკონომიკური ლიმიტი, რომელიც კომერციულ ბანკს უნდა დაეკმაყოფილებინა აგრეთვე მოიცავს ყველა კრედიტსა და სხვა ვალდებულებებს. ამასთანავე, ემატება ახალი ნორმატივი, რომელიც უკეთ დაიცავს მეანაბრეთა ინტერესებს.

აგრეთვე, დაინტერესებულ პირებთან დადებული გარიგებები, შემოთავაზებული კანონპროექტის საფუძველზე მოიცავს როგორც სესხის გაცემას ასევე სხვა ნებისმიერი პროდუქტის გაცემას. რაც თავის მხრივ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმის სრულყოფას წარმოადგენს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.